# სახალხო გაზეთი

№ 384 ოთხშაბათი, 24 აგვისტო, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 384

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, სიხავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ რომ ყოველ თვის დამდეგიდან გაზეთის გზავნა ესპოგათ ყველას ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი.

## დ. ყვირილაში

„ოთრაპანის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“ აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

## „სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვს წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნება.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკად

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან, 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

### ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 25 აგვისტოს, 1911 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტების მიერ ვ. აბაშიძის, გუნიას, ქ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## საძაგელი

კომედია 2 მოქმედებად, გადმოკეთ. დ. ერისთავის მიერ.

## ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ

კომედია 2 მოქმედებად, გადმოკეთებული რ. ერისთავის მიერ.

## კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი პიერეტა, გოგოლაშვილისა, ნებიერიძე, და ბბ. ვ. აბაშიძე, გუნია, მესხი, ჩუბინოვი, ქორიძე, მგალობლიშვილი, საფაროვი, გოგინოვი და მეღვინეთუხუცესი. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.—ადგილების ფასი 5 გ.—50 კ.-დე. ბილეთები უკვე იყიდება კასაში. რეჟის. ვ. აბაშიძე. (4—1457—3) გამგე აბაღაშვილი.

### მეველ—სენაკის სათ.—აზნაურო ქართულ

## სკოლაში

ყმაწვილების მიღება დაიწყება ამ თვის 25-დან. თხოვნებთან ერთად უნდა წარმოადგინონ მოწმობანი წლოვანებისა და წოდებისა.

სკოლაში კურს-დამთავრებულნი უეგზამენოდ გადადიან ქუთაისის სათავად-აზნაურო ქართულ გიმნაზიის 1 კლასში, (4—1433—5)

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

## „კოლხიდა“

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.

ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ. საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთ შაურად.

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9- საათიდან 3 საათამდინ, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ზედგენიძე მ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

ფავთიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით ა ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ, და პარასკ. 2—2½ საათ., დროებით წასულია.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ს. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოხოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუდადოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. დროებით წასულია.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. დროებით წასულია.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული, ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089—543)

## 10 ენკენისთვემდე მიიღება ხელის მოწერა არჩილ ჯორჯაძის

მე-3 წიგნზე

## „ნააზრევი“

ხელის მოწერით ეღირება 40 კ. აგენტებთან; ფოსტის გასაგზავნ ხარჯად 10 კ.

მინაარსი: წინასიტყვაობა. ხელოვნება: 1. ურწმუნო მწერლებს, 2. სიტყვაკაზმული მწერლობა, 3. პოეზიის სამფლობელოში (გრ. რობაქიძის ლექციის გამო), 4. ნავთსაყუდლის მებნაში, 5. ქართულ მუსიკის შესახებ, 6. ცოტა რამ ხელოვნების შესახებ. რელიგია ფილოსოფია: 1. ინდოეთის სიბრძნე (ბრაჰმანიზმ-ბუდიზმი) 2. ლევ ტოლსტოი (სიცოცხლის ტრაგედია, მცდომრები), 3. ქალის ხვედა, 4. წერილები იტრიის წისქვილიდან („იმა ქვეყნათა ხელმძღვანელები“) ეს უკანასკნელი, ახალი წერილია.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში: წ. კ. ს. მაღაზიასა და „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში; ქუთაისში: „კოლხიდის“ რედაქციაში; ბათომში: ირ. ავალიშვილთან; სოხუმში: ნ. ჯანაშიასთან; სურამში: ალ. ზორაგასთან; გორში: სოლ. კიკნაძესთან; თელავში: ი. პაატაშვილთან. (0—4)

## საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—123)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. ბობოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოხოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით.

(წლ.—1090—141)

## ექიმი

ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-ჭანტურიასი ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—4)

## ექიმი

ზ. ნ. მაგაკიანი დაბრუნდა უცხოეთიდან. შინაგანი და ბავშვთა ავადმყ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. 36, ტელეფონი 388. 25—1442—10

## ექიმი

შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდი

## ექიმი

ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. პავლოს ქუჩა N 12. (—121)

## ექიმი

ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ჯაპარიძისა

## ექიმი გ. გ. ლოლობერიძე

შინაგანი და ქალთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღამოობით, ყოველ-დღე 5—7 საათამდე. კირპიჩნი შესახვევი, № 16, სახ. სვიმონოვისა. (თ—1426—16)

## ექიმი გ. ი. ჩხენკელი

ქუთაისში.

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, სალ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—48)

## ექიმი

ვ. მუსხელიშვილი სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—90)

## სურამში

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

ახალი წიგნი

გრ. ხერხეულიძის

## „პირველი სხივი“

(ლექსები).

იყიდება წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში. ფასი 10 კ. (6—777—3)

პირველ ენკენისთვიდან კვლავ დაიწყებს გამოსვლას ყოველ-დღიური გაზეთი

## „სინათლე“

ივანე პ. როსტომაშვილისავე რედაქტორობით სრულიად სხვა სახით. გაზეთის ფასი იქნება ყველგან სამი კაპ. (წინანდელი ორი კაპ. მაგივრად), ხოლო თვეობით გამწერთათვის—შინ მიტანით 65 კაპ., პირველ იანვრამდის კი—2 მან. 40 კაპ. თანამშრომლებს ვსთხოვთ კვლავაც განაგრძონ თანამშრომლობა. საჭიროა გაზეთის დამტარებელნი და გამყიდველნი. პირობების შესატყობად მიჰმართეთ ახლავე ივ. როსტომაშვილს (თუმანიანთ შესახვევი, № 24—Тумановскій пер., 24). რედაქტორ-გამომცემელი ივ. პ. როსტომაშვილი. (6—1)


## ტფილისი, 24 აგვისტო

**საარჩევნო სამზადისი.** ტფილისის ხმოსანთა არჩევნების სამზადისი უკვე დაიწყო. ქართველი ამომრჩევლები ეხლა თითქოს მწყობრ და დალაგებულ მოქმედებას აპირებენ. ოცს აგვისტოს ამომრჩეველთა სიები გამოაქვეყნეს და 21-ს უკვე პირველი საარჩევნო კრება შესდგა. საყურადღებოა, რომ ამ პირველმავე კრებამ სრულიად სალი და ბუნებრივი სამოქმედო გზა აირჩია. ქართველი ამომრჩევლები არც შოვინისტურ ნაციონალიზმის სამოსელში ეხვევიან, არც თავის ეროვნულ ვინაობას თაკილობენ. როგორც სჩანს, ტფილისის ქართველ მკვიდრთა შორის მტკიცე საფუძველი აქვს იმ აზრს, რომ საქვეყნო სარბიელზე მოქმედება არც ბუნებრივ ეროვნულ მთლიანობას უნდა არღვევდეს და არც საერთაშორისო სოლიდარობას. ეროვნული ორგანიზაცია და დემოკრატიული სამოქმედო გეგმა—აი რა დედა აზრი გამოიხატა ქართველ მოქალაქეთა პირველ საარჩევნო კრებაზე. ამ ხელმძღვანელ აზრის ნაყოფია ის, რომ ქართველი ამომრჩევლები არც სხვა რომელსამე ერს უცხადებენ საარჩევნო ომს და არც საკუთრივ აპირებენ საქალაქო საქმეების ხელთ გდებას. ქართველ ამომრჩევლებს სწადიანთ მხოლოდ საზოგადოებრივი თვითმოქმედება ალაღრან ქალაქას იმ ქართველ მკვიდრთ, რომელნიც დღემდე თითქოს ამ თვითმართველობიდან გარიყულად სთვლიან თავს და სამუნიციპიო მოღვაწეთა მოქმედებისათვის პასუხისმგებლობას არა ჰგრძნობენ. ქართველ ამომრჩევლებს სწადიანთ თვის წრიდან მხოლოდ რამდენიმე სასარგებლო და გულწრფელი მუშაკი შესძინონ ტფილისის მუნიციპალიტეტს.

ბრძოლა, რომელიც ყველა საარჩევნო კამპანიის გონივრული თვისებაა, უნდა მოხდეს არა ეროვნულ სხვადასხვაობის, არამედ სამოქმედო პროგრამის ღერძზე. საქალაქო თვით-მართველობა წვრილმან სამეურნეო და საკულტურო საჭიროებათა ფარგალშია მოთავსებული, მაგრამ ამ წვრილმან ინტერესებს უაღრესი და უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სოციალურ ცხოვრებისთვის. სოციალურ სამართლიანობის განხორციელება ეხლანდელ პირობებში არსად შეიძლება ისე ფართოდ, როგორც ადგილობრივ თვითმართველობის ნიადაგზე. დასავლეთ ევროპის მდიდარი გამოცდილება ამ შეხედულების დამამტკიცებელია. მუნიციპალური სოციალიზმი მხოლოდ იმათთვის არის ფუჭი თქმა, ვისაც სოციალიზმი და უწესოება სინონიმად მიაჩნია. სხვამ კი ყველამ უნდა აღიაროს, რომ ადგილობრივ სამეურნეო ინტერესების მოწესრიგება და კულტურულ საჭიროებათა დაკმაყოფილება—ეს ოფიციალური მიზანი მუნიციპალურ დაწესებულებათა, სწორედ სოციალურ სამართლიანობას ემსახურება. თავის თავად ცხადია, რომ ამ სამართლიანობას მრავალი მტერი ჰყავს. სოციალურ სამართლიანობის შემაფერხებელ ელემენტებთან ბრძოლა—აი საითკენ უნდა მიიმართოს საარჩევნო ხმლები ქართველ ამომრჩევლებისა. რა თქმა უნდა, მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი ქართველი ამომრჩეველიც საზოგადოებრივ სამართლიანობის მტერი იყოს და არა მოყვარე. ამ შინაურ მტრებს ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფმა მედგარი შინაური ბრძოლა და წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს. დიდი უმრავლესობა ქართველ ამომრჩევლებისა ტფილისის ცხოვრებათა სწორედ იმ ნაწილს შეადგენს, რომლისთვისაც პროგრესსივული დემოკრატიული სამოქმედო პროგრამა ბუნებრივ პროგრამას წარმოადგენს. მცირეოდენი გამონაკლისი სათვალავში ჩასაგდები არ არის. ქართველები ტფილისში სხვებთან შედარებით ეკონომიურად ხელმოკლე და ღარიბნი არიან; უმეტეს ნაწილად ქალაქის განაპირა ადგილებში მოსახლეობენ და ამიტომ ბუნებრივი მოპირდაპირენი არიან ეგრედ წოდებული სოლოლაკელთა პარტიისა. ტფილისი, როგორც დიდი ქალაქი, თვალსაჩინო გავლენას ახდენს ტფილისის ირგვლივ მდებარე სოფლებზე. ამ სოფლების უდიდესი ნაწილი ქართული სოფლებია და არავინ არის ისე დაინტერესებული, როგორც ქართველი ამომრჩეველი, რომ ქალაქის გავლენა სოფლებზე ამ უკანასკნელთათვის სასარგებლო იყოს და არა საზიანო. ყველა ეს და მრავალი სხვა მოსაზრება გვაძლევს იმედს ვიფიქროთ, რომ ახლად შემდგარი ჯგუფი ქართველ ამომრჩევლებისა არავითარ გარეშე გავლენას არ დაექვემდებარება და წმინდად დაიცავს თავის მოქმედებაში დემოკრატიის პრინციპებს.

## ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ვ. ი. სლოვეჩინსკი** ტფილისს ჩამოვიდა.

✦ ქალაქის გამგეობის წევრი **ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი**, 22 აგვისტოს ტფილისს დაბრუნდა და თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

✦ პეტერბურგიდან სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ **კახეთის რკინის გზის გაყვანას გაზაფხულიდან შეუდგებიან.** უმთავრესს საქმის მწარმოებლად კახ. რკინის გამგეობას ინჟ. გ. პ. თუმანიშვილი დაუნიშნავს. (9000 მან. ჯამაგირით). გამგეობას ის აზრი გამოუთქვამს, თუმცა რკინის გზა ჩალაუბანზე გაივლის, მაგრამ, თუ საჭირო იქნება—საქობოდან არა თუ ხირსამდე, უფრო იქითაც შეიძლება გაგრძელდეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ინჟ. თუმანიშვილი არ დაივიწყებს ჩვენს დამშეულ ხალხს, და სამუშაოს, ნამეტნავად მიწისას, მათ არ გამოსწირავს.

✦ **ქიზიყის სოფლებს განაჩენები შეუდგენიათ** და მომრიგებელ მოსამართლე ჯორჯაძისათვის წარუდგენიათ პრასიანის უღელტეხილის შესახებ, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო დღევანდლამდი მას მსვლელობა არ მიეცია.

✦ საქონლის მოშენებისა და მერძეობის უფროსი სპეციალისტი აგრონომი **ა. ქალანთარი** ადგილობრივ მერძეეობის გასაუმჯობესებლად ბაქოსა და შემახის გუბერნიებში გაჰგზავნეს.

✦ **ახალგაზრდა მხატვრის კ. ქავთარაძის სურათების გამოფენა** „ახალ კლუბში“ ამ მოკლე ხანში გაიხსნება. კლუბს გამოფენისათვის უკვე ყველაფერი დაუმზადებია.

✦ **ქართველს მფრინავ ქებურიას** უკვე დაუმთავრებია ახალი, თავის გამოგონილი კონსტრუქციის საფრენი. მას გნომის მატორი გამოუწერია, რომელზედაც 3—4 ასი თუმანი დაუხარჯავს. გამზადებული საფრენი დიდუბეში უკვე გაუტანია და ამ დღეებში მისით აფრენასა სცდის.

✦ ამ ჟამად ტფილისში ს.-პეტერბურგის სასოფლო-სამეურნეო ქალთა უმაღლეს სასწავლებლის **პროფესორი ბ. ლისკუნი** იმყოფება, რომელიც კავკასიაში საქონლის მოშენების შესახებ მასალებს აგროვებს. მას დუშეთის გზა უკვე შემოუვლია და თვით მოუხდენია გამოკვლევა, აგრეთვე მერძეობაც შეუსწავლია. ეხლა ამავე მიზნით ბ. ლისკუნი აფხაზეთში გაემგზავრა.

✦ **ქალაქის წყალსადენის სადგურის გამგეს.** ინჟინერ ქურდიანს გურიის საგანგებო დეპუტაციამ სთხოვა რომ წყლის გაყვანის საქმის გაუმჯობესებისათვის გურიაში წავიდეს და ადგილობრივი გამოკვლევა მოახდინოს,

✦ **მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა** დონის ოლქის ფილოქსერის მხრივ გამოსაკვლევად 2000 მანეთი გადასდო.

✦ **მიწად-მოქმედ და მიწად-მომწყობ მთავარ გამგეობის** კავკასიის რწმუნებულს აცნობა, რომ 1910 წლის ფილოქსეროსთან და ვენახების სხვა მავნე სენთან საბრძოლველ კანონების მე-II მუხლის ძალით ალაზნის მხრივ ნაპირები თელავისა და სიღნაღის მაზრაში ფილოქსერის მხრივ საშიშრად სცნეს.

✦ **ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** რამდენიმე წევრი გუშინ სად. აშაგსერალს გაემგზავრა, სადაც მანთაშევის მამულში „მაიანუგი“-ს მოტორიან გუთანს დაათვალიერებს.

✦ გუშინ ერევნის მოედანზე საცდელ ქვაფენილის დაგებას შეუდგნენ.

✦ **ქალაქის გამგეობამ ტფილისში მყოფ უცხოეთის ელჩებს** ახლად დაბეჭდილი ქალაქის ამომრჩეველთა სიები დაუგზავნა და სთხოვა შეამოწმონ სიები უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი ხომ არ მოჰყოლია, რათა ისინი გამორიცხოთო.

✦ პირველ სექტემბრიდან ბ. როსტომაშვილის რედაქტორობით გამოვა ყოველდღიური გაზეთი „სინათლე“, ორი კაპიკის მაგიერად სამი ედირება.

✦ **საარჩევნო ბიურო.** კვირის კრებაზე ქართველ ამომრჩეველთა ცენტრალურ ბიუროში ამოირჩიეს შემდეგნი პირნი: თ-დი მ. ნ. ვეზირიშვილი, თ-დი ვ. გელოვანი, ა. ს. ღულაძე, ი. ნ. მერკვილაძე, ი. სპ. ფანცხავა, პ. ა. გოთუა, კ. ი. ტყავაძე, გრ. წულუკიძე, ს. შ. ქყონია და ე. ხრამელაშვილი.

ორშაბათს **საღამოს ბიუროს** წევრნი შეიკრიბნენ და თავიანთ შორის ამოირჩიეს პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ თ-დი შ. ნ. ვეზირიშვილი, მის ამხანაგად ი. ს. ფანცხავა, ხაზინადრად ს. შ. ქყონია და მდივნად ი. გ. სულაბერიძე. შემდეგ გადასწყვიტეს საზოგადოების თანახმად საარჩევნო უბნებში კრებები მოიწვიონ ამ კვირია პირველ უბანში მომავალ ხუთშაბათს, ძესამე უბანში, პარასკევს და მეორეში—კვირას.

ამ კრებებზე ამოირჩევენ უბნის ბიუროებს, რომელნიც ორ-ორს წარმომადგენელით შეავსებს ცენტრალურს ბიუროს. აგრეთვე ბიურომ განსაზღვრა, თუ რომელს მათგანს როდის უნდა მიჰმართონ ამომრჩევლებმა საჭირო ცნობების მისაღებად.

1. გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩის“ რედაქციაში (სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა 2—3 საათამდე.

2. გაზ. „სახალხო გაზ.“ რედაქციაში (სასახლის ქუჩა სახ. სარაჯიშვილისა) 1—2 საათამდე.

3. თავ. მიხ. ნიკ. ვეზირიშვილთან კიროჩნის ქუჩა, № 38, საკუთარ სახლში, საღამოს 7—8 საათამდე.

4. ანდ. სოფ.·ჯულაძესთან, კიროჩნის ქუჩა, № 35) დილით 9—10 ს. და საღამოთი 5—6 საათ.

5. ნაფ. გექიდ. ნ. დ. გელოვანთან, გაბაევის ქ., № 3. დილით 9—10 ს.

6. იაკ. სპ. ფანცხავასთან, სოლოლაკის ქ., ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის განყოფილებაში საღამოს 5—6 საათამდე.

7. ნაფ. გაქ. გრ. სვიმ. რცხილაძესთან, ოლდას შესახვევი, № 5, საღამოს 6—8 საათ.

8. სიმ. შერმ. ჭყონიასთან, შუა ბაზარი, რატიანის და ამხ. საკომისიონერო კანტორა, საღამოს 6—8 საათამდე.

9. იაკ. გიორ. სულაბერიძესთან ვორონცოვის ძეგლთან, დიდ ხევის ჩასავალი, № 1 სახლი არღუთინსკისა, საღამოს 5—6 საათ.

✦ **ტყვიბულის** (ქუთაისის გუბერნია) ტყის საგამგეოს მმართველმა ტფილისის ბატანიკურ ბაღის დირექტორს აცნობა, რომ ტყვიბულის გარშემო მდებარე მთა-გორიან ადგილებში წაბლნარი ხმება. რადგანაც მიზეზი ამისა წაბლის ფესვების ავადმყოფობა ჰგონია, ამიტომ გამოსაკვლევად დირექტორს გამხმარ წაბლის ფესვებიც გამოუგზავნა.

✦ მიწათმოქმედების დეპარტამენტმა დეპარტამენტის განყოფილების უფროსი ნად. სოვ. ა. ი. კნიზე სამხრეთ გუბერნიებში და ჩრდილო კავკასიაში კაგზავნა, რათა ბამიბს საცდელ კულტურას გაეცნოს. მასვე დაევალა გზად სოხუმში შეიაროს, სადაც საცდელ სადგურისა და სოხუმის თამბაქოს პლანტაციების უფროსთან ერთად საბოლოოდ ამოირჩევენ ადგილებს თამბაქოს საცდელ პლანტაციებისათვის.

✦ **საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე ქ. თაყაიშვილი და წევრი ა. სარაჯიშვილი.** კახეთში მოგზაურობიდან დაბრუნდნენ. მათ თითქმის მთელი კახეთი შემოუვლიათ და ბევრი ფრიად საყურადღებო ნივთი შეუკრებიათ. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს თავ. იური ჭავჭავაძის მიერ გადმოცემული ქეთევან დედოფლის „დაუჯდომელი“, და ქიზიყის მოურავის დროშა, რომელიც თავ. ზაქარია ანდრონიკაშვილის ოჯახში ყოფილა დაცული. ძლიერ საინტერესოა აგრეთვე ერეკლე მეფის ნაქონი ქურქელი, სხვა და სხვა ისტორიულ პირთა პორტრეტები, და მრავალი სიგელ-გუჯარი.

## სასულიერო და კრებები

✦ **სასულიერო სემინარიის ახალ შენობაში 27 აგვისტოს** დაიწყება და 30 აგვისტომდე გაგრძელდება საქართველოს საეგზარხოსოს **ეპარქიულ საბჭოთა წარმომადგენლების კრება.**

✦ **საბიერო კომიტეტის ცნობით** წელს პური მოსავალი ამიერ კავკასიაში ნაკლები იყო. გამოირკვა, რომ საჭირო იქნება 15 მილიონი ფუთი ხორბლის შემოტანა ამიერ კავკასიაში; მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში 5 მილიონისა.

✦ სექტემბრის პირველ რიცხვებში **საქართველოს ექსარხოსი ინოკენტი,** ბათომიდან დაბრუნების მერე, კახეთისაკენ გაემგზავრება. ბოდბის მონასტერში მისი თანადასწრებით სამკლასიან სასწავლებელს აკურთხებენ.

✦ **ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი სტ. სოვ. ნიკოლოზ ლავრენტის ძე ქართველიშვილი** ქალ. ტფილისის ნოტარიუსად დაინიშნა, მღებროვის მაგივრად.

✦ სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობას პირველი კრება 30 აგვისტოს ექნება. კრებამ უნდა განიხილოს მომავალ სასწავლო წელთან დაკავშირებული საკითხები. ლექციების მოწყობა, ლექტორების მოწვევა, წარმოდგენების მართვა (საზოგადოების სასარგებლოდ) და სხვა.

## სასწავლებლებში

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიის ადმინისტრაცია ამ ჟამად იმის ზრუნვაშია, რომ გარედან მოსიარულე მოწაფეებს შესაფერი ბინა უშოვნოს. ამიტომ პირველ უბნის (ვერა) სახლის პატრონებმა, რომელთაც მოწაფეების აყვანა ჰსურთ, უნდა შესაფერი განცხადება სემინარიაში შეიტანონ.

## პროვინციაში

✦ **მანგლისი.** აქაურ მოაგარაკე სომხის ინტელიგენციის თაოსნობით პედაგოგის და მწერალ ყაზაროს ალაიანის გარდაცვალების მეორმოცე დღეს პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდის შემდეგ მღვდელმა ხუციანმა და ქ. მასწავლებელმა ვართანიანმა სიტყვა წარმოსთქვეს.

✦ შემახის მაზრის სოფ. საღაინიდან გაზეთ „მშაკს“ატყობინებენ, რომ იქ აგრონომს ხ. ერიციანს 13 ლექცია წაუკითხავს ბაღოსნობასა და მევინეობაზე. სოფლელები იმდენად დაინტერესებულან, რომ სოფ. მადრასის მცხოვრებთ ბ. ერიციანისათვის უთხოვნიათ ლექციები ჩვენ სოფელშიაც გაიმეორეთო.

✦ 22 აგვისტოს ტფილისის სომეხთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე ა. **ქალანთარი** შემახის მაზრის სოფ. საღაიანს გაემგზავრა. მას თან წაჰყოლია ამავე სოფელში არსებულ სამეურნეო სკოლის მზრუნველი ა. ბუდაღიანი. აქ მოხდება თათბირი საღაიანის გარშემო მდებარე სოფლებში სამეურნეო ცოდნათა გავრცელების საქმის დაყენების თაობაზე.

## ქუთაისი

✦ შავი ქვის მრეწველთა **საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი ზდანოვიჩი** ენკენისთვის პირველებში პეტერბურგს გაემგზავრება საბჭოს საქმეების გამო. დაბრუნდება ქუთაისში არა უგვიანეს ღვინობისთვის შუა რიცხვებისა, როდესაც მოხდება მრეწველთა წლიური კრება და განიხილავენ ანგარიშს, ხარჯთ—აღრიცხვას და სხვა კითხვებს რომელთა რა უკვე ემცნო სამიო გამგეობას.

✦ **ქართული დასის შედგენა თითქმის დამთავრდა;** დასში უმთავრესად მონაწილეობას მიიღებენ ის მსახიობნი რომელნიც შარშან მოღვაწეობდნენ ქუთაისში. რეჟისსორობა კვლავ ბ-ნ მ. ქორიძეს მიენდო. დასში, სხვათა შორის, მოწვეულია გამრეკელის ასული, რომელიც ბაქოში იღებდა მონაწილეობას ქართულ წარმოდგენებში.

✦ ხანგრძლივ სიგრილეს ქუთაისში დიდი **სიცხები მოჰყვა.** ერთი კვირაა აღმოსავლეთის ქარი ჰქრის, რომელიც თითქმის შეუძლებელად ჰხდის ქუთაისში ცხოვრებას.

✦ მიუხედავად იმისა, რომ წრევანდელ გვალვების გამო სიმინდი გვიან დაითესა, **მოსავლის მოლოდინი კარგია.** ამას ივნისიის ხშირმა წვიმებმა შეუწყო ხელი.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრი ბ-ნი კ. ბაქრაძე** შინაურ საქმეების გამო საზღვარ გარედ მიდის ერთის თვით.

✦ ნამდვილ წყაროებიდან შევიტყეთ, რომ **ქართული გიმნაზიის მზრუნველ კომიტეტს** სწავლის გადასახადი მოსწავლეთათვის მოუმატებია. მომავალი ენკენისთვიდან გიმნაზიური კლასების მოსწავლეთ გადაჰხდება **70 მანათი,** მოსამზადებლისას—**60 მანათი.**

✦ აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა **ქუთაისის რემონტის მუშებს.** გათენდება თუ არა, სამუშაოს უნდა დაადგნენ და დაბნელებამდინ მუშაობენ. მუშაობენ მცირე **ჯამაგირში,** მოპყრობა უფროსებისაგან ცუდი აქვთ. ყველა ამას უნდა დაეფიქრებინა რემონტის მუშები და უნდა ეზრუნათ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სამწუხაროდ სულ წინააღმდეგსა ვხედავთ. აქ არავინ ზრუნავს სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე. პირიქით, აილებენ თუ არა ორიოდე გროშს, სამიკიტნოში გარბიან, რომ პილატეს ცრემლს დაეწაფნენ. მთელი ღამეებს ბანქოსა და ბილიარდის თამაშში ატარებენ. როდის-ღა შეიგნებენ, რომ ამ გზით სიარული მუშებს არ არგებს? („მნათობი“).

✦ **ქუთაისის დურგალთა შემნახველ გამსესხებელ** ამხანაგობის გამგეობამ, საზოგადო კრების დადგენილებისა თანახმად, სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილებაში თხოვნა წარადგინა, მიეცეს მას 2000 მან. ძირითად თანხად და მოკლევადიან სესხად 2500 მან. ამის შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ.

✦ სამტრედიელებს **საზოგადო ავთიაქის დაარსება განუზრახავთ.** ამ მიზნის განსახორციელებლად შუამდგომლობა აღუძრავთ.

✦ მიწად მოქმედების უმთავრესი გამგეობა **სამეურნეო კოოპერატივების** განვითარების ხელის მოწყობას აპირებს. ამ მიზნისთვის ნივთიერ დახმარებას აღმოუჩენს ახლად დაარსებულ სამეურნეო კოოპერატივებს და ყოველივე საჭირო ცნობებს მიაწვდის (კ.)

✦ გასულ კვირას ბორჩალოს მაზრაში, მანთაშევის ადგილში სცადეს ამერიკიდან ჩამოტანილი **გაუმჯობესებული გუთანი,** ღირებული 10,000 მანეთად, გუთანი ორთქლით მოძრაობს, 10 საათში 6 დესიატინა მიწასა ჰხნავს და 5—6 გოჯზე გააქვს კვალი.

✦ **ანკეტა.** ქუთაისში ბევრმა მიიღო საანკეტო ფურცელი „ფინანსთა უწყების“ რედაქციისგან, რომ ამ უკანასკნელს ეცნობოს მოსავლის რაოდენობა ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა ნაწილებისა.

✦ ცნობილი ქართველი ბელეტრისტი **დავ. კლდიაშვილი** ამ მოკლე ხანში დაასრულებს ერთ მოქმედებიან პიესას და ნებართვის მიღების შემდეგ გადასცემს ქუთაისის თეატრში წარმოსადგენად.

✦ **ჩხრეკა სოფლად.** დ. ჩოხატაურში (გურია), 12 აგვისტოს, პოლიციას დ. ერისთავის თანადასწრებით გაუჩხრეკია ი. ივანოკის ავთიაქი, მაგრამ ნებადაურთველი ვერაფერი უნახავს. ეს ავთიაქი ამ სამი თვის წინადაც გაუჩხრეკიათ, მაგრამ საწინააღმდეგო ვერც მაშინ უნახავთ.

✦ რედაქციამ მიიღო ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი „**გუთანი**“-ს მეორე შესწორებული გამოცემა, შედგენილი ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებლების ი. ოცხელის, თ. მთავარიშვილის და ს. ყიფიანის მიერ. წიგნი სუფთადაა გამოცემული და ყდითა ღირს 85 კაპ. („მნათ.“)

## სოხუმი

✦ **ოჩემჩირის ნავთსადგური.** 19 აგვისტოს ქალაქის ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრა, სერგიევის პასაჟის მცხოვრებს პანკევიჩს ოჩემჩირეში სავაჭრო ნავთსადგურის ასაშენებლად იჯარის ნება მიეცეს,

✦ ქ. შორ. წერ. კ. გამავრ-

* * *

**ჟამსა ღამის ლოცვისასა.**

სულო ჩემო! სულო ჩემო! ღამის სევდას განერიდე!
შავს უკუნეთს უანდერძე გლოვის ძაძა, გლოვის რიდე!
პირველ სხივის სამსხვერპლოსთან გრძნობის ნაკადს უხვად ჰღვრიდე.
მარტო შევხვდეთ ჩვენს განთიადს, ლოცვის ჰანგით დამაშვიდე.
...სულო ჩემო! სულო ჩემო! აღზდექ, სევდას განერიდე!

—

ჰეი, ვინ ხარ? ამ ბნელ ღამეს აგრევია გზა და კვალი;
ვინ ხარ-მეთქი? ნუ ჰგლეჯ კარებს... ვერას გარგებს მკლავის ძალი!
რას სისინებ? მემუქრები? რა მიმიძღვის შენთან ბრალი?
შენა ხარ, რომ ამოაგდე საზარელი ქარიშხალი?
ღმერთო, რისთვის არ თენდება? რად არ ჰყივის ან მამალი?
საათიც კი აღარა სცემს, სანთელს უკრთის შუქი მკრთალი.
კმარა! კარს ნუ აკაკუნებ! რად მოსტეხე ურდოს რგვალი?
ვერ მიგიღებ!.. ვერ მიგიღებ, კაცი იყო, თუნდა ქალი!
მარტო მყოფი ვლაღადებდი, ლოცვა შევთხზე გულმხურვალი.
მაშ გაბრუნდი ისევ უკან და პატივი თავსა იდე.
...სულო ჩემო! სულო ჩემო! აღზდექ, სევდას განერიდე!

—

ბნელში ვზივარ და ბნელსა ვჭვრეტ, მაყივნებს და მავალალებს;
ლოცვის ჟამსა შიში მიპყრობს, გული თრთის და მიკანკალებს.
ვიღაც მიმზერს გაშტერებით, ამეტყველებს ცეცხლის თვალებს.
ჯადო ხარ თუ სული წმინდა, ეურჩები ძალთა-ძალებს?
აჩრდილი ხარ ქვესკნელიდან, რად ილესავ ეგრე ბრჭყალებს?
ხარ არსება იდუმალი, ვინ სტანჯავს და არ იბრალებს?
სასტიკიც ხარ, საყვარელიც შენი სული შემიწყალებს,
თუ ანაზდად დაუცხრომელს ჯოჯოხეთის მიმცემს ალებს?
სთქვი, რად სდუმხარ ეგრე ცივად, რად მზერ ნიავს გასამალებს?
ნუ მკლავ! მითხარ, რა გსურს ჩემგან, შენი სიტყვა რის მავალებს?
რად მომისპე მყუდროება?—სურვილი გაქვს მსხვერპლად მთვლიდე?
..სულო ჩემო! სულო ჩემო! აღზდექ, სევდას განერიდე!

—

გამეცალე, სულს ნუ მხუთავ! სულს, ერთ ადგილს შეგუბებულს!
სუნთქვა მიმძიმს, ცივ ოფლს მასხავს პირისახეს დალურჯებულს!
ამაცალე რკინის ხელნი, გულს ნუ მღადრავ ტრფობით ვნებულს;
შენ დაგიხშე ეს ჰაერი? მომეც საზრდო მისუსტებულს!
როდეს სასტიკს არ გხედავდი, გრძნობა ჩემი დავიმშვიდე;
...სულო ჩემო! სულო ჩემო! აღზდექ, სევდას განერიდე!

თვალს დავხუჭავ, აღარ გიმზერ, პირქვე ლოგინს დავემხობი;
გულით წყევლა აღმომხდება, შევიქმნები შენი მგმობი.
სიკვდილი ხარ?—სად გაქვს ცელი? ტყის ქაჯი ხარ, მჯობთა მჯობი?
თუ შენც ჩემებრ დევნილი ხარ, ვფიცავ სიყრმეს—ჰოგე ნდობი.
ყინვის სუნთქვით რად შემხუთე? შენს წინაშე გსურს ქედს ვხრიდე?
..... სულო ჩემო! სულო ჩემო! აღზდექ, სევდას განერიდე!

—

თუ ამ ჩანგმა მოგიწვია და დასტოვე მისთვის კიდე,
აჰა, სიმნი დავაწყვიტე, ვერ გამოსცეს მან ხმა კიდე.
არ მისდიხარ? რად მაძრწუნებ? ასე რისთვის გადმეკიდე?
მაშ მე წავალ, გზა მომეცი: მსურს მარტოკა ღამე ვლიდე;
შე გულქვაო, ულმობელო! ნუ, ნუ მახჩობ, ამასენ რიდე.
.... სულო ჩემო! სულო ჩემო! აღზდექ, სევდას განერიდე!

—

აჰა სკიპტრა და გვირგვინი! აჰა გაძლევ მეფის სახელს!
ოქრო, ვერცხლი, მარგალიტი შეჰშურდება ყოველ მნახველს!
აჰა ჩანგი დამსხვრეული, ოღონდ დამხსენ მაგ ზღვა-ნაღველს.
რაც ოცნებით შემიქმნია, მასაც გიძღვნი სასტიკ მსახვრელს,
თუ კი გითხარ მკვეთრი სიტყვა, შემინდე მე ამაყ მძრახველს;
არ მიდიხარ? მაშ რა გინდა? მითხარ, მითხარ, რას მთხოვ კიდე?

—

.... სულო ჩემო! სულო ჩემო! აღზდეგ, სევდას განერიდე!
მუხლმოდრეკით გევედრები: ღმერთო, ღმერთო, დამიფარე!
მაინც სული შემომექრა, ნაკადული მასვა მწარე.
ჰე! ვინ ამსხვრევს სამლოცველოს? ვინ ხარხარხარებს შინ და გარე?
ვინ ჩააქრო ურჩინარმა, ლამპრის შუქი მოელვარე?
ნუ თუ შენ ხარ? შენ, აჩრდილო? არ დასტოვე ჩემი მხარე?
სულს თან დასდევ განუყრელად, ჩემი სახე შემაზარე:
ვაი ჩემს თავს! რაღას უცდი, შეჰკარ კუბო, შესუდარე.
მიყრუებულ უდაბნოში ღრმად სამარე გამითხარე;
როს დამმარხო ულმობელმა, გამარჯვებით შხამსა ღვრიდე;
... სულო ჩემო! სულო ჩემო! აღზდექ, სევდას განერიდე!

—

ჰხედავ, რა რიგ მიმასუსტე, ოდნავ ღა სცემს ნორჩი გული;
შემოუშვი მზის სხივები, ნუ დამიხშე გაზაფხული.
დაე გუნდმა იგალობოს, მას ბანს მისცემს შავი წყლული;
ერთს უთხარი, სადაც ვიქმნე შენის ხელით დამარხული;
ხრიოკ საფლავს ის მომირთავს, მისი მიმდევს სიყვარული.
ჩანგსა სიმნი კვლავ გაბას, ხმა მოჰფინოს კიდით-კიდე.
იმღეროს თუ: სულო ჩემო! აღზდექ, სევდას განერიდე!

**ა. შანშიაშვილი.**

# ქართლის ჭირ-ვარამი

„ფუ, იმ მოედანს, ხადაცა
ვირები ბედაურობენ!
მაშ, იმ ერსა, რომლსაც
უღირსნი მეთაურობენ“.
აკაკი.

1.

ერთი შემთხვევა ძალა-უნებურად კალამს მაღებინებს ხელში. მკითხველის ყურადღება მინდა იქით მივაქციო, სადაც გაფანტულია ჩვენი ნაშთი-სიძველენი. მეზობელი ერებიც ყოველ შემთხვევაში ძარცავენ ჩვენს წმიდათა ტაძრებს, მასთანვე უცხო ერებიც ყოველ ღონეს ხმარობენ, ხელში ჩაიგდონ ჩვენი დაუფასებელი ძველ ხელოვნების ნაშთნი.

ამას წინად მატარებელში შევხვდი ერთ სომეხს, რომელსაც ორი ტომრით სხვა და სხვა ნივთები მიჰქონდა. ვსთხოვე—ეჩვენებინა. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა. რა არ ვნახე: ქართული ძველი ხელთ-ნაწერი წიგნები, კარაბადინები, ნახატებიანი ისტორიული ამბები, ძველი ნივთები, ბრინჯაოს მაგვარი ნაჯახები, წერაქვები, სხვა და სხვა რგოლები, უძველესი ბრინჯაოს მსგავსი ხანჯალი, რომელსაც სომეხი ძვირფასად აფასებდა. აგრეთვე ვნახე ნივთი, რომელზედაც იყო გამოსახული რაღაც ცხოველი და ეს სომეხი მარწმუნებდა—„კერპიაო“. მაჩვენა აგრეთვე ოქროს ბეჭედი, რომელზედაც იმპერატ. კონსტანტინე და ელენეს სახელი ჰქონდა წარწერილი, ამტკიცებდა, რომ ეს ბეჭედი მათი ნაქონიაო.

— კაცო, სად იშოვნე ეს ამოდენა სიძველენი?

— ცხინვალში ვიყავ და იქ შევიძინე, იქიდან გადმოვიარე სოფლები, ატოცშიაც ვიყავ, ყველგან ვკითხულობდი და ვპოულობდი.

— მერე, რა უნდა უყო?

— რაც ძვირფასი რამეა მოვაგროვებ და სამზღვარ-გარედ მუზეუმებს მივყიდიო.—მიპასუხა და თან ნივთებს ტომრებში ალაგებდა.

— რატომ ეთნოგრაფიულ საზოგადოებაში არ აჩვენებ, იქნება იყიდონ?

— იქ იმდენ ფულს არ მომცემენ, სამზღვარ-გარედ კი დიდ ფასს შემომაძლევენ.

მწარედ დამალონა მისმა პასუხმა, გულს მიკლავდა ჩვენი ერის დაბეჩავება, რომ შესანიშნავ სიძველეს უცხოთა ხელში აგდებს.

***

ეს არ უნდა გვიკვირდეს და არც გასაკვირველია, ყველა თავისასა სცდილობს. ჩვენ ყველას ამ ბოლო დროს თვალი აგვეხილა, გამოვედით ასპარეზზე; სადაც ერთი მეორეს მეტოქეობას ვუწევთ, ვებრძვით, წინ ვისწრაფით, რომ არ ჩამოვრჩეთ სხვებს და საბრალოა ის, ვისაც არ შესწევს უნარი ბრძოლისა და თავის დანიშნულებას არ აღსწევს.

საკვირველი კი ის არის და ჩვენს გულის წყრომას საზღვარი არა აქვს, სადაც ზოგიერთნი წარჩინებულნი თავადნი თავიანთს გაყიდვას არ კმაყოფილდებიან და წმიდათა ტაძრების სამკაულების ძარცვისათვის მიუყვიათ ხელი.

ამ ორი კვირის წინად თ-დ გიორგი ივანეს ძე წერეთელმა, სოფ. საჩხერის მცხოვრებმა, სოფ. ოქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცილებელ საზოგადოების სკოლა იოსელიანის სახლიდან ეგნატე გე გენოვას სახლში გადაიტანეს. ბავშვების მიღება I და II განყოფილებაში 25 აგვისტოს დაიწყება. მეორე მასწავლებლად მოწვეულია ნოე ქორიძე.

## პროვინცია

✦ სოფ. ქიქაანი (თელავის მაზრა). უცნობებმა ღამით მოჰკლეს თედო ნადირაშვილი. მკვლელობა, როგორც ამბობენ, დაუსტნელ დეკების ჩადენილია.

✦ სოფ. იდუმალა (ახალციხის მაზრა). სადი ოღლიმ თოფით მძიმედ დასჭრა მამასახლისის თანაშემწე იბრაგიმ ხურშუდ ოღლი.

✦ ს. ბრეთი (გორის მაზრა). შებადე ალექსანდრე ედილაშვილი 15 აგვისტოს სახლიდან გამოვიდა და შემდეგ აღარ დაბრუნებულა. ჰფიქრობენ, რომ ედილაშვილი მოკლულია.

✦ სოფ. შამბლუხი (ბორჩალოს მაზრა). გუსეინ ეგალი ოღლი, შირ მაშედ-ალი ოღლი და ისმაილ აბდულა-ოღლი თოფებით შავიდნენ სოფელში სამი სახლი გაზხრიკეს და 35 მ. წაიღეს. მამასახლისის კითხვაზე აქვთ ნებართვა თუ არა, თოფები მოუღერეს.

## სხვა და სხვა ამბები

✦ მოსკოვის საიმპერატორო „მცირე თეატრის“ დრამატიული დასის გამგეს **თავ. სუმბათაშვილს** გადაუწყვეტია „რუსულ სათეატრო საზოგადოების“ საბჭოს წევრობას თავი დაანებოს, რადგან დროც არა აქვს და ეხლანდელ საბჭოს მოქმედებას საზოგადოებაც არა თანაუგრძნობს.

✦ **მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა**, რომელთაც ვადის გასვლის გამო უნივერსიტეტს თავი უნდა დაანებონ, სახალხო განათლების მინისტრის ცალკ-ცალკე თხოვნა წარუდგინეს, რათა ნება დართოს უნივერსიტეტში დარჩენისა.

✦ ს. პეტერბურგის **ქალთა სამკურნალო ფაკულტეტზე** გამორიცხული მსმენელნი კვლავ მიიღეს. პროფესორებს კი წინადადება მიეცათ, თუ მოისურვებენ ისევ იკისრონ ლექციების კითხვა.

✦ **სახალხო განათლების სამინისტროს** გადაუწყვეტია მარინის სასწავლებლების გახსნის შესახებ ყოველივე შუამდგომლობა შეაჩეროს, რადგანაც ახალ კანონ-პროექტს იმუშავებს საკანონმდებლო დაწესებულებაში, რომლითაც მაღალ ხარისხოვან, პირველ-დაწყებით სასწავლებლებს დაუთმობენ ალაგს, როგორც მარინის, აგრედვე სხვა სამოქალაქო სასწავლებლები.

✦ **სახალხო განათლების სამინისტროს** განკარგულებით საუნივერსიტეტო ქალაქებში მომავალ სექტემბრიდან გაიხსნება ერთწლიანი კურსები, რომლებშიაც მოემზადებიან საშუალო სასწავლებლებისათვის მასწავლებელნი ორივე სქესისანი.

✦ **სახალხო განათლების სამინისტროს** განმარტებით დაბალ და სახელოსნო სასწავლებლების ყველა კითხვები, რომელნიც სწავლა-აღზრდის საქმეს ეხება, უნდა ირჩეოდეს საპედაგოგიო და არა სამეურნეო საბჭოში.

✦ სენატის განმარტებით სამრევლო სკოლებში შეუძლიათ ისწავლონ მარტო მართლ-მადიდებელთა შვილებმა კი არა, არამედ ყველამ, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა, ამისათვის, მაგ., კათოლიკებს არა აქვთ ნება უარი განაცხადონ ამ სკოლებისათვის გაწერილ ხარჯზეო.

## ს. ყაზბეგის საფეიქრო

მარტო ჰკუა-გონების განვითარება ერს კეთილ-დღეობას ვერ მისცემს, თუ იგი ნივთიერად შევიწროვებული და ხელ-მოკლე იქნება.

თუმცა ეს აზრი შეურყეველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჩვენ ამ ჭეშმარიტებას არ მივდევთ და ამიტომ ჩვენი სოფლის მკვიდრნი გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. მათ წინ უძევთ აუარებელი ბუნებრივი სიმდიდრე, მაგრამ უვიცობის გამო ვერა სარგებლობენ. ვერ გამოუჩნდა გლეხს მესვეური, რომ უჩვენოს მას სწავლა-მეცნიერებით გაკვლეული გზა. მართლაც ჩვენ გლეხის მდგომარეობას დავშორდით და ამიტომ გულგრილად ვუცქერით იმის ბეჩაობას. დროა გონივრულად ხელი მოვკიდოთ იმ საქმეს, რომელშიაც იგვიწვდება ცოდნა და ხერხი.

ჩვენი სამშობლო ქვეყანა ღირსია, რომ შევისწავლოთ ყველა მისი კუთხე, მისი ცხოვრების ნაკლი და საჭიროება.

ტფილისიდან ქ. პიატიგორსკში მიმავალი ყაზბეგის ხეობამ, იმისმა ადგილ-მდგომარეობამ, სადაც სახლობენ მთიულები, ფშაველები, მოხევები და ოსები, აღტაცებაში მომიყვანა. დროგამოშვებით ჩემ თვალწინ იცვლებოდა ხეობის სახე.

ხან გადმეშლებოდა დიდებული, დაღვრემილი და მკაცრი მთა, ხან-მშვენიერი, ნაზი, ფერად ყვავილებით შემკული არე-მარე, და ჩემ გრძნობა გონებას ჰხიბლავდა.

ვიხილე მთების წვეროებზე და ხევების კალთებზე აქა-იქა გაშენებული სოფლები. ისეთ მაღალსა და უდაბურ ადგილებში, რომ მხოლოდ საცალ-ფეხო ბილიკით თუ მიაღწევთ.

მთებზე და ფერდობებზე საძოვარი ადგილები მოსჩანს მშვენიერ ყვავილ-ბალახით შემოსილი. მოსახლეს არც ტყე, არც სახნავი მიწა არა აქვს. პურის სათესად თითო მეკომურს უჭირავს ½-3 დღიურამდე უვარგისი მიწა. ზამთრობით 5—6 თვის განმავლობაში გლეხი ყინვა-სიცივის გამო კარჩაკეტილია და უსაქმოდ რჩება.

ყველა ამის მნახველი, უეჭველია, გაკვირვებული დარჩება და იტყვის: ეს ბეჩავი გლეხობა თავის თავს და ჯალაბობას მთელი წლის განმავლობაში როგორ ინახავს და რითი ჰკვებავსო. აღმოჩნდა, რომ მკვიდრნი ცხვრისა და ძროხის მოშენებას მისდევენ. გლეხ-კაცობა საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობს და დროგამოშვებით კავკავიდან ტფილისში და ტფილისიდან კავკავში სხვა და სხვა საქონელი გადააქვს პაწაწა ურმით. მათი ცხოვრების ნამდვილი ძარღვი მატყლი და ერბო-ყველია. გლეხის ქალები ფეიქრობენ, მატყლის შალებსა და ხალიჩებსა ქსოვენ მამა-პაპურ საფეიქრო ჩარხებითა და საბექავით. რა ჰქმნან საწყალმა ფეიქარმა-ქალებმა, რომ ნამდვილი ფეიქრობის ცოდნა არა აქვთ, არ უნახავთ თავის დღეში არსად საფეიქრო მანქანები, სწავლა-მეცნიერებით შეკეთებული და მომზადებული. დღევანდლამდე იმათ მესვეური არა ჰყავდათ, რომ ისინი ნამდვილ გზაზე დაეყენებინა. ეხლა კი ამ გაჭირვებიდან ჰამოვლენ. მათ გამოუჩნდათ გულშოდგინე მესვეური.

იქაურმა მემამულემ, გენერალმა გიორგი ნიკოლოზის ძემ ყაზბეგმა, შეიგნო ხალხის ტანჯვა-ვაება და მოიწადინა წ. კ. პირველ დასაწყის სკოლის გვერდით ხალიჩებისა და შალების საფეიქრო სახელოსნოს დაარსება, სადაც შეისწავლიან ნამდვილ საფეიქრო ხელობას, ე. ი. ცხვრის კრეჭას, მატყლის რიგიან რთვას, ძაფის ღებვას, შალებისა და ხალიჩების ქსოვას და სხვა ფერად ქსოვილების დამზადებას.

თავისი განზრახვა გ. ყაზბეგმა განახორციელა. 1907 წ. დაარსა სოფელ ყაზბეგში, თავის შრომითა და ქონებით, საფეიქრო სახელოსნო. საქმე პირველ დღიდანვე კარგად წავიდა და იმავე წელს სახელოსნოში მიიბარა 15-მდე ქალი. მთავრობამაც ამ საქმეს მხარი დაუჭირა, მისცა 500 მ. დახმარება და გამოგზავნა მცოდნე კაცი მასწავლებელი, ალ. პავლოვი *). 2½ წლის განმავლობაში სახელოსნოში სწავლობდა სამოცამდე ქალი. ეს სკოლა, თუმცა ნელის ნაბიჯით სწარმოებს, მაგრამ მაინც წინ-მსვლელობას არ აკლებს. ყაზბეგის ხეობისთვის უკვე მოაქვს თვალსაჩინო სარგებლობა. აქ სწავლა დაასრულა ექვსმა ქალმა, რომელნიც დღეს საკუთარის მანქანებით მუშაობენ და თავის ნაშრომით სცხოვრობენ. ამ ჟამად სახელოსნოში მუშაობს 27 ქალი. იგინი ერთი წლის შემდეგ სწავლას დაასრულებენ და ოჯახს მიეშველებიან.

სამწუხაროდ, ხელმოკლეობის გამო სასწავლებელი ვერ გაფართოვებულა. სახელოსნო ძლივს იტევს 4 ხალიჩის საქსოვს, 3 უბრალო საქსოვს, 1 საქაჯავსა და სალებავს.

წრეულს სახელოსნო დაათვალიერა სამინისტროდან გამოგზავნილმა მცოდნე კაცმა ტეხნოლოგმა რომანოვსკიმ, რომელმაც მოიწონა როგორც სასწავლებელი, აგრედვე მისი ნამუშევარი და მიზანი.

*) რომელიც ეხლაც ხელმძღვანელობს სკოლას.

სკოლის დამაარსებლის მთავარი მიზანია გაავრცელოს ხევის სოფლებში ეს შინამრეწველობის დარგი. თავ.-აზნაურთა შემოწირულ ფულით იგი აპირობს გახსნას სახელოსნო, რომელიც დაამზადებს საფეიქრო მანქანებს და მოსწავლეებს მიჰყიდის მეტად მცირე ფასად. საზოგადოდ, ადგილობრივი გლეხ-კაცობა სკოლის დაარსებას დიდის ხალისით მიეგება და მის დამაარსებელს სრული თანაგრძნობა გამოუცხადა.

სკოლის ხარჯთ-აღრიცხვა 1911 წ. ასეთია:

| | |
|---|---|
| ბინის ქირა " " " | 200 მ. |
| გათბობა და მსახური " | 250 " |
| ჯამაგირი ხელოსანს " | 480 " |
| მოწყობილობა " " | 150 " |
| მასალა " " " " | 300 " |
| ს უ ლ | 1380 მ. |

მასწავლებლის ჯამაგირს იხდის ხაზინა. ნაწილი (250 მ.-მდე) დამზადებულ საქონლის გაყიდვიდან შემოდის, დანარჩენს კი გ. ყაზბეგი იხდის. 1910 წ. მთავრობამ სკოლას მისცა 300 მ., წრეულს თავ.-აზნაურობამ—1000 მ. ამ ფულით უნდა გაიმართოს მანქანების სახელოსნო და გადაიხადოს შარშანდელი ვალი—400 მანეთამდე.

25 ივლისს დავათვალიერე პატივცემულ ყაზბეგის თანდასწრებით სასწავლებელი. მოსწავლე ქალები სამ მანქანაზე მუშაობდა. მათი ნამუშევარი თვალსაჩინოა. ფერად უჯრიანი ნაქსოვი ღირსებით არაფრით ჩამოუვარდება ქარხნის საქონელს. ასევე კარგია მატყლის ხალიჩებიც. ვისარგებლე შემთხვევით და წამოვიღე ნიმუშები ამ სკოლის ნაქსოვისა, რათა სხვებსაც ვაჩვენო ღირსება და სარგებლობა ამ ფრიად კეთილ საქმისა.

ერთი კაცის მეცადინეობა და კეთილი სურვილი ამისთანა ძნელ საქმეს ვერ გაუძლევება.

აქ საჭიროა საზოგადოებრივი დახმარება. ჩვენში, საზოგადოებაშიც და, მოიპოვება გულკეთილი და გულმტკივნეულნი პირნიც. იმედია, ისინი გულუხვობას გამოიჩენენ და დაეხმარებიან ამისთანა საქვეყნო საქმეს. მრწამს, რომ ერთი კაცის მიერ დაწყებული საქმე გაფართოვდება იქაურ გლეხთა დახმარებით და თანაგრძნობით. შეიძლება ისინი შეერთდნენ, დაარსონ ამხანაგობა და გაუწიონ ამ საქმეს თავისასა და ქვეყნის სასარგებლოდ შესაფერი ხელმძღვანელობა.

ვუსურვოთ საზოგადო მოღვაწეს დიდად პატივცემულ გიორგი ნიკოლოზის ძეს ყაზბეგს დღეგრძელობა და კეთილი მსვლელობა ამ მძიმე საქმეში. იმისი სახელი დაუვიწყარი იქნება ხალხის გრძნობაში და მომავალი თაობა არა ერთხელ მოიხსენიებს მას კეთილი სიტყვით.

**ილია წინამძღვრიშვილი.**

## ქსნის ხეობა

ზაფხული დადგა, ინტელიგენცია სოფლად გავიდა, დაიწყო წარმოდგენებისა და საღამოების მართვა და ამნაირად სოფელსაც კულტურული ცხოვრების ნიშანწყალი დაედო. გვეგონა ქსნის ხეობასაც ეწვევა თავის ინტელიგენცია და რითიმე გაახარებსო, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა: მოვიდნენ მოსწავლეები, იტლინკეს, იხტუნეს, ერთხელ კიდეც შეიკრიბნენ ს. ახალგორში წარმოდგენის გასამართად, მაგრამ ბოლოს კი სულაც თავი დაანებეს. ეხლა ზაფხული გადის, ინტელიგენციაც ისევ უკან ბრუნდება და ქსნის ხეობამაც ისე იგრძნო ამათი წაბძანება, როგორც მობძანება. სწორედ ამ ხეობისა და მის ინტელიგენციისა არის ნათქვამი: „ხილმა მოისხა ხილიო, რაც მამა იყო, ის იმისი შვილიო.“ ერთი სიტყვით, აქეთკენ რომ ყაჩაღობა არ იყოს გახშირებული, მთელ ხეობას სალათას ძილი დაჰხრობდა.

მოსავლისა ქსნის ხეობელებმა ვერაფერი გაიგეს—მდარე იყო, თუ საშუალო, რადგანაც განიავების დროს, რამდენსაც გლეხი ხვავს გამოარკვევ-

---

ნაში მოიყვანა ორი „პიჯაკიანი“ კაცი. ოქონის ახლად აშენებული ეკლესია დაათვალიერეს, ისტორიული „ხვთაების“ ხატი ნახეს.

ორი „პიჯაკიანი“ წავიდა, თ. დ. წერეთელმა კი მოლაპარაკება გამართა მღვდ. თადეოზ გელაშვილთან და მედავითნე ნიკო ბათიაშვილთან.

შეუჩნდა მათ თ-დი წერეთელი,—ეგ ხვთაების ხატი ტფილისში წამოიღეთ, იქ მარტო სურათს გადაიღებენ, ერთი შეძლებული გრაფინია არის, ეკლესიას გაგიმშვენიერებს, ზარს გიყიდის, და სხვა ამისთანა.

ბოლოს ეს უბედური მღვდელი და მედავითნე შეაცდინა თ-დმა წერეთელმა; გაბრიყვდენ, ოქონის ხვთაების ხატი გამოიტანეს ეკლესიიდან და სამივენი: თ-დ. გ. ი. წერეთელი, მღვდ. თადეოზ გელაშვილი და მედავითნე ნ. ბათიაშვილი ტფილისკენ გამგზავრნენ.

ტფილისის ვოგზალზე ის ორი „პიჯაკიანი“ დახვდათ და ყველანი სასტუმრო „ვიქტორიაში“ (სასახლის ქუჩაზე) ჩამოხტნენ.

იმ ღამეს არაფერი,—მეორე დღეს დილით, ვითომ ფოტოგრაფიულ აპარატს შუშა გასტეხოდა და სურათი ველარ გადაიღეს, მხოლოდ სთხოვეს ხატი მოგვყიდეთო. მედავითნე ნ. ბათიაშვილი გაიხმეს მეორე ოთახში, ორმოცდა ათი თუმანი ჩაუდეს ხელში, ამ საგანზე ხმა არავისთან ამოიღოვო. ბათიაშვილი დაიბნა, ფული სტოლზე დასდო, თითონ ოთახს გარეთ გავარდა. მღვდელს ას სამოცდა ათი თუმანი შეაძლიეს, მღვდელი უარობდა, დატრიალდა აქ თ-დ. წერეთელი, შეუჩნდნენ აქეთ-იქით. მღვდელმა გაიგო თუ არა, რომ ბათიაშვილი გაქცეულიყო, შეშინდა ეუბნება მათ:—დიაკვანისა მეშინიან, ვაი თუ გამცეს, გამიშვით, ვანახო ის და შემდეგ განახვთო. ამათ თავი დაახწია, ხვთაების ხატი ანაფორის სახელში ჩაიდო და გამოეცალა.

თ-დ. წერეთელი მაინც მღვდელს დაედევნა, ქუჩაში ჩასჩიჩინებდა:—ჰკუას ნუ ჰკარგავ, ამოდენა ფულს თავისდღეში არ ნახავ. საქმე გაათავე და ეგ ხატი მოგვეციო.

* *

მანამ მღვდელი გელაშვილი და მედავითნე ბათიაშვილი დაბრუნდნენ, მოძღვარს ზ. ღვადაგაძეს გაეგო, რომ ოქონას ეკლესიიდან ღვთაების ხატი გაუტაციათ, ატოცის მღვდლის თანადასწრებით ამ საქმეზე შესაფერი ოქმი შეადგინა.

გავარდა სოფ. ოქონაში ხმა, ღვთაების ხატი გაუტაცნიათ, დიდათ აღელდნენ მცხოვრებნი, მათ წყრომას საზღვარი არა ჰქონდა:—მაგ ეკლესიის განახლებას ჩვენი ცხოვრება შევალიეთ, არც კი არავინ მოგვეხმარა, მაგ ღვთაების ხატს მივჩერებივართ, თორემ ჩვენ აქ რა გვედგომინებაო, ამბობდნენ გლეხები.

მოვიდნენ მღვდელი და მედავითნე, მოაბძანეს ხვთაების ხატი. გლეხების თანადასწრებით ვნახე ისინი სალაპარაკოდ, გამოვკითხე ყველა და მიამბეს ეს ზემოთქმული; მღვდელი დიაკვანს აბრალებდა, დიაკვანი—მღვდელს.

ბოლოს თავი დამნაშავედ იცნეს და ითხოვეს პატიება:—შევცდით, შეგვაცდინა გიორგი წერეთელმაო, ღმერთმა ჰკითხოს და გადაახდევინოს მას ჩვენი ასე თავის მოჭრაო.

—თქვენ ორივე თავები უნდა დაგვაყრევინოთ,—აღელვებული ეკამათება ერთი გლეხი,—რა პასუხს გვაძლევთ, რომ ჩუმად, მოპარვით „ღვთაება“ დასძარით და ურჯულოებისათვის უნდა მიგვეყიდნათ? მითხარი, რა მღვდლობა უნდა გამიწიო ამას იქით? მაგრამ, შეგვეწიოს მისი მადლი, დაგიბნიათ ჰკუა და ისევ უკან მოაბძანეთ ჩვენი „ღვთაება“!

აქეთ-იქიდან წყრომას უცხადებდნენ.

ეკლესიაში შევედით და „ხვთაების“ ხატი დავათვალიერეთ: ზომა ხატისა არის 5×7 გოჯი, მთლად შევერცხლილია, ორი კარები აქვს, გადასხნით ორივე კარებს და შუაში ნახავთ ძვალზედ ამოჭრილ მაცხოვარს, მარჯვნივ ღვთისმშობელი უდგა, მარცხნივ იოანე ღვთისმეტყველი, ესენიც ძვალზედაა ამოჭრილი და შეჭედილია ძვირფასი თვლებით. კარებზე შიგნით აქეთ-იქით ექვსი წმიდანია, აგრედვე ამოჭრილნი არიან ძვალზედ.

საუცხოვო ხელოვნებაა, რომ უცქერი განცვიფრებაში მოსდიხარ, ნუ თუ ამისთანა ხელოვნების მცოდნენი ყოფილან ქართველები? რამდენიმე საუკუნემ გაიარა მას შემდეგ, რაც ეს ხელოვნებაა შექმნილი, ამ ხატმა მოიარა სპარსეთი, როგორც თქმულება ამბობს, თონეშიაც კი ჩააგდეს, რომ დაეწვათ; სპარსეთში ერთი ოჯახი ამოსწყვეტა, რადგან ღვთისმშობლის ძვლის ხელი მოტეხეს და ბავშვის სათამაშოდ აკვანზე ჩამოეკიდნათ, მის მაგიერ ვერცხლის ხელი შეუბამთ, ეხლაც ვერცხლის ხელი ჩამობმული აქვს ძეწკვით. სპარსეთიდან ეს ხატი შეუძენია ერთ ტფილისელ სომხის ვაჭარს. მის ოჯახსაც უბედურება სწვევია და სიზმრად გამოსცხადებია, რომ ისევ ოქონის ეკლესიაში დაასვენეო. ტფილისში მაშინ სცხოვრობდა მიხეილ ფალავანდიშვილი და ამ სომეხმა მას გადასცა ეს ხატი. მ. ფალავანდიშვილმა შეატყობინა ოქონელებს. ჩავიდნენ, პარაკლისი უხადეს და დიდის ამბით წამოასვენეს და ამდენ გამოვლილ დროთა ჟამში ხელოვნება ისევ დაცულია ამ ხატისა. ჩვენამდე მოაღწია და ჩვენი უგვანო მახინჯნი და გარეწარნი არაფერს ერიდებიან და უღირსად ეპყრობიან.

როდესაც ვათვალიერებდი ხატს, შევნიშნე, რომ უკანა გვერდზედ ასომთავრული ასოებით არის წარწერა, რადგან მე არ ვიცოდი წაკითხვა, მღვდელს წავაკითხე და მან შემდეგი ამოიკითხა: **„ოქონის ხატო შეიწყალე ულირსი მონა ქათალიკოსი ევდემონ. ამინ“.**

ხვთაების ხატი ხელ-უხლებლივ აღმოჩნდა; ბოლოს სოფელმა მოილაპარაკა და მღვდელს წინადადება მისცა, რომ თუ ეხლავ თავის ნებით გაეცლება სოფელს, საჩივარს აღარ აღვძრავთო. მღვდელმა თანხმობა გამოაცხადა.

ბათიაშვილიც მედავითნობიდან უნდა გადაეყენებინათ, მაგრამ მისი ოჯახის გარემოება, როგორც წვრილშვილი ადამიანის, მიიღეს ხედველობაში და ისევ დასტოვეს თავის ადგილს, რადგან თავის დანაშაულობა საჯაროდ აღიარა და პატიება ითხოვა.

მღვდელმა ადრესი გადმომცა, რომელიც ხვთაების ხატის მოვაჭრეებს მიეცათ: სასახლის ქუჩა, სასტუმრო „ვიქტორია“ არუთინ კალპაკიანი. ესენი აგრედვე დადიან სოფლად, დააქვთ უბრალო ნივთები, ატყუებენ მცხოვრებლებს, თუ შეხვდებათ ძველი წიგნები, ან ნივთები, მათში უცვლიან.

* *

ოქონის ეკლესიას ჰქონია კიდევ ერთი ძვირფასი ღვთისმშობლის ხატი. ეს ხატი ამნაირადვე წაღებულ იქნა, შემდეგ გორში დაასვენეს ერთ ეკლესიაში და დაერქვა „ოქონის ხვთისმშობლის ტაძარი“. აქედანაც ეს ხატი, როგორც თქმულება გადმოგვცემს ერთ ბერს პაპიდაშვილს გაუძრახებია მღვდელი გარსევანიშვილი და ვილაც რუსს დიდებულისათვის მიუყიდნიათ. მოუვლია რუსეთი, ბოლოს მცხეთის წინამძღვარ ნინოს, ამილახვრის ასულს ჩაჰვარდნია ხელში, შემდეგ ეს ხატი იაკინოე მესხიშვილის ხელში იყო და ეხლა სად არის, დანამდვილებით არ ვიცი როგორც გადმომცეს, ქართულ გიმნაზიის ეკლესიაში უნდა იყოს და ძალიან სასიამოვნო არის, რომ „ოქონის ხვთისმშობლის“ ხატმა შესაფერი ადგილს მიაგნო.

ამ ხატის აღწერა თაყაიშვილის საეტნოგრაფიო კრებულშია მოხსენებული, მისი ხელოვნება და ისტორიული გადმოცემანი.

ოქონის ხვთისმშობლის და ხვთაების ხატები ამტკიცებს, თუ რა დიდებული დრო ჰქონია ოქონის ეკლესიას, დღეს კი მისი აჩრდილიც აღარ არის.

განახლებული ოქონის ეკლესია გამოიყურება უმნოდ-ულამაზოდ და მისი გალატაკებული მრევლიც წარმოადგენს ქვეყნის დაუსრულებელ ჭირ-ვარამს.

* *

დიახ, სოფლად გაფანტული ამისთანა სიძველე გვაგონებს ჩვენს წარსულ დიდებულ დროს! გავერანებულ-გატიალებულ სოფლებში ვხედავთ ჩვენს სიამაყეს და ამ ნაშთსაც გვისპობენ უცხოელები და თავისად ასაღებენ.

აგერ ცხრა-კარიანი მონასტერი მდებარე ოფორის წყალზე, რომელიც მარცხენა მხარეს მდ. ფრონეს (ფცის წყალი) ერთვის, ოდესღაც დიდებული იყო, მის გარშემო ცხოვრება სდუღდა, ვენახებით მოფენილი იყო. დღეს დაბურული ტყითაა მოსილი, ხიზან ოსებითაა დასახლებული მისი მიდამოები.

ამ ხუთი წლის წინად გზად გავიარე და მის ახლო ეგდო უშველებელი კარის ბჭე ზედ ასომთავრული წარწერა იყო. ეხლა რომ მავედი დასათვალიერებლად ის კარის-ბჭე აღარ დამხვდა, მითხრეს—ოსებმა დაამტვრიესო.

შევედი ცხრა კარიან მონასტერში, რამდენიმე თაღი გავიარე. ერთი კარების ქვა ჩამოვარდნილა, ზედ ასომთავრული წარწერაა, ჯერ ეს ქვა ხელ-უხლებელია. ამ ტაძარში ალაგ-ალაგ მხატვრობა შერჩენილა, ჰკვიროდ ტაძრის გამოქანდაკებულ სვეტებს, თაღების მოყვანილობას. გუმბათის ნანგრევებს რომ უცქერი და მის გარშემო, რწმუნდები, რომ ამ ნანგრევებში ბევრი რამ არის დამარხული.

აქედან წმინდა გომარეთის ეკლესიის დასათვალიერებლად წავედი. ეს ეკლესია მდებარეობს საფალავანდო მთაში, გომარეთის სერზე, საიდანაც დაჰყურებს მდ. ფრონეებს და დაცემულ ვაკე სოფლებს. ამ ეკლესიამ დღეობა იცის ყოველ სულის წმიდის მოფენის დღესა და დიდძალი ოსობა იყრის თავსა.

შიგნით ეკლესიაში თამარ-დედოფლის სურათია დაცული, არის კიდევ სხვა სურათები; ეს ეკლესიაც ინგრევა და ეს სურათებიც ისპობა. შუაგულ დაბურულ ტყეებში, სადაც დასახლებულან ოსი-ხიზნები, მიწაში ქვევრებს პოულობენ. მაღლობებზე შეჰხვდებით აღმართულ ორ არშინიან თლილ ოთხკუთხიან ქვებს, სადაც იკრიბებიან ოსები დანიშნულ დღეებს და სამღვთოს უხდიან. ამ ქვებს არა ეტყობათ რა, ხოლო თავზე ამოღრმავებულია ჯამივით. ოსები ამ ქვებს „ზათლიკმებს“ უძახიან, ე. ი., ჩვენებურად საჯვარე. რას წარმოადგენენ ეს ქვები და რა დროინდელია, ძნელი გამოსაცნობია.

მაქვს დათვალიერებული წრომის ტაძარი. გაოცა მისმა შენობამ, განცვიფრებაში მომიყვანა მისმა დიდებულმა ხელოვნებამ. არ ძალმიძს მისი აღწერა, რომ შესაფერად დავაფასო. მხოლოდ ვიტყვი, წრომის ტაძარს ვინც ნახავს, ამოიკითხავს მასში წარსულ დიდებულ საქართველოს და აწმყოში ჩვენ დავრღვეულ სამშობლოს.

**Legatus.**

და, იმდენს ახალგორელი ჩარჩი წაუგდებდა ჩანახს და თავის ტომარაში ტყაპანს ჩაატანებდა.

ამ დღეებში მომიხდა წასვლა ს. ქალაში. ამ სოფელში და გარშემო დღევანდლამდე კარგად შენახულია სხვა და სხვა სიძველე. ერთმა აქაურმა მემამულემ წამიყვანა და თავის ვენახში მაჩვენა მიწაში მშვენივრად შენახული აბანო. აბანო, მართალია, ეხლანდელ ტფილისის აბანოებს ჰგავს, მაგრამ გეგმით კი ბევრად განირჩევა, ეტყობა, ეს აბანო ერთი ოჯახისთვის არა ყოფილა აშენებული, რადგანაც რამდენიმე ოთახისგან შესდგება და დახლოვებით ამნაირია: ერთი დიდი ოთახი, სადაც ალბად ხალხი იცდიდა, იქიდგან შედიხართ მეორე ოთახში, სადაც დიდი ავზია გამართული სასხდომებით და წყალსადენ ღარებით, ამ ოთახის უკან კიდევ ოთახი ყველა მხრიდან დახურული, სადაც წყალი თუ გროვდებოდა გასათბობად, საერთო ოთახის მარჯვნივ და მარცხნივ თითო პატარა ოთახია ცალკე მობანავეთათვის. აქაური მემამულე დამპირდა სხვა უფრო საინტერესო სიძველების ჩვენებას, მაგრამ დროს უქონლობის გამო იმ დღესვე დავბრუნდი. მართალია, ჩვენებური პატივცემული არქეოლოგი ე. თაყაიშვილი ყოფილიყო აქ, მაგრამ, როგორც გადმომცეს, აბანო არ ენახა. კარგს იზამდნენ ჩვენი არქეოლოგები, რომ დაწვრილებით გამოიკვლევდნენ ს. ქალასა და მის მიდამოებს: აქ თავადი ამილახვრები სცხოვრობდნენ და უეჭველია ბევრს საყურადღებო რამეს დასტოვებდნენ.

ქალის ახლო მდებარეობს ს. სამთავისი, სადაც მშვენიერი დიდი ძველი ეკლესიაა. სანამ აწ განსვენებული გენერალი ამილახვარი ცოცხალი იყო, ამ ეკლესიას მუდამ აკეთებდა, და კარგადაც იყო შენახული. ეხლა კი უპატრონობის გამო გუმბათის ქვეშ ფანჯრის ჩარჩოები დამპალა და ჩამოცვივნულა. აქედგან მტრედები შემოდიან და უსუფთაობაა. ადგილობრივ მღვდელს კი ეტყობა, დიდად გული არ შესტკივა ამ ეკლესისთვის. საჭიროა ეხლავე ყურადღება მიექცეს, ვისიც ჯერ არს, თორემ როცა ამაზე მეტად გაფუჭდება, მაშინ მისი შეკეთება უფრო გაძნელდება.

**დუშეთელი.**

# ანგარიში

თედოვის ზირველ დაწყებითი სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ 6 აგვისტოს გამართულ სეირნობისა.

**შემოსავალი:** ბილეთები—115 მან. ბაზარი 38 მ. 64 კ., კონფეტი—7 მ. 65 კ., შვილდისრით ვარჯიშობიდან—8 მან. დედოფლის სახელის გამოცანა 4 მ. 25 კაპ. ბუფეტი—21 მან. 16 კაპ., ჩაი—6 მ. 46 კ. შემოწირულება 11 მ. 84 კაპ. სულ 214 მან. კიდევ შემოვიდა 47 მან. 30 კ. სულ—251 მან. 30 კაპ.

**ხარჯი:** ბილეთების მარკები 5 მ. 20 კაპ., ტკბილეულობა და გამომცხვრები 10 მან. 50 კაპ., ზურნა 9 მან. სიმებიანი ორკესტრი 15 მ., შუშხუნები 4 მან. 18 კაპ., ღვინო 5 მ. 50 კ., ქაღალდი ფარნებისათვის და კიოსკებისათვის 6 მ. 56 კაპ., გ. კურდღელაშვილს სანთლისა, ფარნებისა და სხვ. 6 მ. 92 კაპ., მუშები და მოსამსახურეები 10 მ. 54 კაპ., დარაჯები 1 მ. 20 კ., წვრილი ხარჯი ფანჯატურები და კიოსკები, თოკი, ლურსმანი, ნავთი, დაკარგულ ფარდების აზღაურება და სხ. 26 მ. 72 კ. სულ 101 მ. 30 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 150 მან. რომელიც შევიტანე თელ. შემნახველ კასაში 10 აგვისტოს, № 3500.

ამასთან მადლობას ვწირავ ხაკ. ხ. მაჭავარიანს 3 მან. შემოწირულებისთვის და სეირნობისათვის ბაზრის, კიოსკების და ფანჯატურების მომწყობთ: კნ. ელ. ნ. ჯაფარიძისას, მარ. ნ. ყაზახაშვილისას, კნიაჟ. თ. ნ. თარხნიშვილისას, მ. ვიქტორელს, ნ. მ. გამყრელიძისას, კნიაჟ. ერისთავისას თავ. ვ. კ. ჭავჭავაძეს, ალ. ზ. ჯაფარიძეს ა. მესხის და ყველა იმ პირთ, ვინც ამ სეირნობაზე დასწრებით დახმარება აღმოუჩინეს ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთ.

სეირნობის დამახლისი სასწავლებლის გამგე **კნ. ა. ნ. ჭავჭავაძე.**

# პატარა ფელეტონი

## რქები

(ძველი ინდოური ლეგენდა)

**თ. ლ. დ' ორიხა.**

ოდესაც მაღადევამ, კაცი რომ შექმნა, უცებ სინიდისის ქენჯნა იგრძნო.

— ეჰ,—გაიფიქრა მან, ტყუილად შევქმენ!

მაგრამ გვიანღა იყო... კაცი უკვე შექმნილი იყო და თავის ქმნილებათა გარდაქმნა კი მაღადევას არ უყვარდა, საშინლად ეჯავრებოდა შესწორება.

— დაე იცხოვროს!—სთქვა მაღადევამ.—მართალია საწყენია, რომ კაცი ცოტად მგავს, მაგრამ რას იზავ, ბედია!

ბოროტის თვალით შეხედა კაცს და უთხრა:

— გასწი!

კაცი არ იძროდა.

წელში მოხრილი საბრალოდ იდგა მაღადევას წინაშე. მის ძირს დახრილს თვალებში ისეთი მონობა გამოიხატებოდა, ისეთი ძაღლური ლაქუცი, რომ მაღადევას მთელი თავისი ძალღონე უნდა ეხმარა, რათა თავი შეეკავებინა და კაცისათვის პანღური არ ამოეკრა.

— რა გინდა, სთქვა?—წარბ შეკვრით ჰკითხა მაღადევამ.

კაცი მუხლებზე დაეცა და ლუღლუღი დაიწყო:

— მინდა მადლობა გადაგიხადო დიდო მაღადევა.

— რაზე?

— ყველაფერზე. იმაზე, რომ შემქმენ, იმაზე, რომ ყველა მხეცსა და პირუტყვზე გონიერი გამაჩინე.

მაღადევამ კაცს გაკვირვებით შეხედა.

— მერე, რათა გგონია, რომ ჩემ ქმნილებათა შორის ყველაზე გონიერი შენა ხარ?

— განა ეს მართალი არ არის? თავის მხრივ გაიკვირვა კაცმა მაშ...

კაცი მიწაზე განერთხო.

— მაშ მომეცი მეტი გონება!. ყველა პირუტყვს აქვს იარაღი თავის დასაცავად. ზოგს კბილში, ზოგს ბრჭყალები, მე კი არაფერი მაქვს. გონება მაინც მომეცი...

— მართალი ხარ!—უთხრა მაღადევამ. თხოვნას აგისრულებ!

კაცი წავიდა. მაგრამ მთვარემ პირველად ამოსვლა ვერც კი მოასწრო, რომ ის ისევ წარსდგა მაღადევას მრისხანე თვალთა წინაშე.

— მაღადევა! მაღადევა!—ღაღადებდა კაცი;—გამომეცხადე დიდებულო!

— მაღადევა გამოეცხადა და ჰკითხა:

— რაღად მოხვედი, კაცო, კვალად?

კაცმა საბრალოდ დაიწუწუნა:

მხოლოდ გონება არასა მშველის, მაღადევა!

— როგორ, არასა გშველის?

— ასე, არასა მშველის! გონებით ვუმტკიცებ პირუტყვთ და ნადირთ, რომ მე ისინი უნდა ვჭამო და არა იმათ მე.., ისინი კი მიპასუხებენ, რომ აქნობამდე სხეული მტკიცა და ქრილობათაგან სისხლით მაქვს შეთხუპნული...

— მე გონება მოგეცი თავის დასაცავად და არა იმიტომ, რომ სხვას დასცემოდი თავს!—მრისხანედ უთხრა მაღადევამ.

— ჰო, მაგრამ რომ არასა მშველის?

—შეევედრა კაცი.

მაღადევა დაფიქრდა და უთხრა:

— კარგი. მე მელიას მოხერხებას მოგცემ.

— კაცი წავიდა.

— ძლივს არ მოვიშორე თავიდან. ამოოხვრით სთქვა მაღადევამ. მაგრამ მოსტყუვდა. განთიადისას კაცი ისევ მუხლზე იდგა.

— მაღადევა! მაღადევა! — თვალცრემლიანი მოუწოდებდა იგი.

— დაიკარგე აქედან!—გაცეცხლებით დაუყვირა მაღადევამ.

კაცი ადგა, წელში გასწორდა და თავხედურად მიუგო:

— მაღადევა, თუ შეიძლება ნუ ჰყვირი!

— რაო?!—უფრო შეჰყვირა მაღადევამ.

— ნუ ჰყვირი მეთქი, გაუმეორა კაცმა. შენ გამაჩინე, მაშასადამე შენთვის საჭირო ვარ, ხოლო საჭირო ადამიანს არ უყვირიან!

მაღადევა განცვიფრდა.

— რა გინდა მერე?—დაიღრიალა მაღადევამ ისე, რომ დედა-მიწა ინძრა.

— მე კბილები მინდა, ეშვები, ბრჭყალები ან რქები!—წყნარად მიუგო კაცმა. რა თავში ვიხლო ხერხიანობა? რომ მტერს დავემალო? მე მინდა რომ ისინი მემალებოდნენ.

— კბილები რომ მოგცე?—უთხრა მაღადევამ,—მთელს ქვეყანას დაჰხრამ, ბრჭყალები ან ეშვები მოგცე—ყველას გაჰფატრავ, რქები...

მაღადევამ უცებ გაიღიმა.

— კარგი!—თითქმის ალერსით უთხრა მან,—მოგცემ რქებს.

და მეორე დღეს შექმნა ქალი.

**სან-ჟანი-ძე.**

# უცხოეთი

### ურია-მუნჯთა კონგრესი.

ამას წინად იტალიის დედა ქალაქ რომში გაიმართა ურია-მუნჯთა კონგრესი. კონგრესს, რასაკვირველია, დაესწრნენ ექიმები, პედაგოგები, ადმინისტრატორები და სხვა მოღვაწენი ურუ მუნჯთა კერძო და საზოგადო დაწესებულებათა. მაგრამ ეს ხალხი არა სჩანდა ურუ-მუნჯთა აუარებელ რიცხვში. ესენი ქვეყნის ყოველ კუთხიდან იყვნენ მოსულნი. მოსულიყვნენ სერბიელები, საბერძნები, იაპონელები, ოსმალები, პორტუგალიელები, ავსტრიელები და სხვა. არ იყვნენ მხოლოდ რუსები.

ლაპარაკობდნენ ურუ-მუნჯნი, რომელთაც ხმის ამოღებაც კი არ შეუძლიათ; ესენი დაპარაკობდნენ, ერთმანეთს აგონებდნენ თავიანთ აზრებს, მაგრამ დიდ დარბაზში სამარისებური სიჩუმე იდგა.

ლაპარაკს იმაზე, თუ რომელმა ქვეყანამ რა გააკეთა ურუ-მუნჯებისათვის და რა არის კიდევ გასაკეთებელი. როცა გაკეთებულ საქმეზე ლაპარაკობდნენ, ახსენებდნენ ინგლისს, შეერთებულ შტატებს, ბელგიას, ჰოლანდიას, იტალიას, ე. ი. იმ ქვეყნებს, სადაც კულტურული ცხოვრება ხალხს მეძლებას აძლევს თავისუფლად იმოქმედოს და ათი ათასობით ურუ-მუნჯთ პატრონობა გაუწიოს. ხოლო როცა არ გაკეთებულ საქმეზე ლაპარაკობდნენ, მაშინ ახსენებდნენ ოსმალეთს, სპარსეთს და რუსეთს. ამ ქვეყნებში ურუ-მუნჯთათვის არასა ზრუნავენ, მხოლოდ ისე იქცევიან, გითომ ზრუნავენ, გითომ ყურს უგდებენ, ასწავლიან ხელობასა და მეცნიერებას და სხვა.

ერთი უდიდესი საკითხი, რომელიც კონგრესზე წამოაყენეს, ურუ-მუნჯთათვის პოლიტიკურ უფლებათა მინიჭების საკითხი იყო. ადმოჩნდა, რომ ურუ მუნჯნი, ძალიან სცდილობენ ამ უფლებათა მიღებას. ამის გარდა, ერთმა მომხსენებელმა სთქვა, რომ ურუ-მუნჯთა რიცხვში ძალიან ბევრი ჩერჩეტია, და ამიტომ მოვითხოვთ, რომ კანონმდებლობამ აუკრძალოს ამისთანა ქორწინება, რათა გონებით სუსტნი არ გამრავლდნენ. ამან კონგრესი ძალიან შეურაცხყო და მომხსენებელს ბოდიში მოხდა მოსთხოვა. მომხსენებელმა მოთხოვნა ასრულა. ამან უფრო დაამშვიდა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 აგვისტო.

**საზღვარ-გარედ.**

**ვენა.** რკინის გზის მოსამსახურეებმა მოილაპარაკეს, წარუდგინონ ადმინისტრაციას ახალი პირობები. ეს ცხოვრების საძვირითაა გამოწვეული. თუ უარს ეტყვიან, მოსამსახურენი გაფიცვით იმუქრებიან.

**ბრიუსელი.** სანოვაგის გაძვირებით გამოწვეული მოძრაობა ძლიერდება. უბნებმა გაფიცვა გადასწყვიტეს. 24 აგვისტოს დიასახლისები დემონსტრაციას აპირებენ. ზოგით ბურგომისტრები შუამდგომლობენ, რომ სანოვაგეზე გაწერილი გადასახადები მოსპონ.

**ბერლინი.** კომბონსა და კიდერლენ-ვეხტერს შუა მოლაპარაკება განახლდა.

**ხტამბოლი.** ერთ კვირაში ხოლერით ავად გახდა 316 კაცი, მოკვდა 188.

**ლანდსბურგი.** რეიცენშტეინში საეჭვო ავადმყოფი იყო. ჯერ-ჯერობით ზარალი 3 მილიონ მარკისაა.

**მექსიკა.** პრეზიდენტობის კანდიდატს რეიერს აივნიდან სიტყვის თქმა უნდოდა, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა ქვა დაუშინეს. საქმეში პოლიცია ჩაერია. ქვით 43 კაცი დაიჭრა.

**ნიუკესტლი.** ტრედ-უნიონისტების კონგრესი გაიხსნა. 520 დელეგატია 1,667,000 კაცის წარმომადგენელი.

**სპარსეთი.**

**ისპაჰანი.** ბახტიარების რაზმი, რომელსაც ზურგარ-ხანი მეთაურობდა შეიხ ნაიბ-უსსანემა დაამარცხა.

3 კვირაა თეირანიდან ფოსტა არ მოსულა, ეხლა კი ისპაჰანსა, კაშანსა და თეირანს შუა მოძრაობა შეწყვეტილია.

**ასტრაბადი.** შაჰ უს-სალტანემ ნურასთან მთავრობის ჯარი დაამარცხა და მისი მეთაური ფატიხი ტყვედ წაიყვანა.

**თეირანი.** ხამადანიდან ცნობა მოვიდა, რომ სალარ უდ-დოულე ნეხავენდისაკენ გადაიხვეწა. მის წინაამდეგ ბახტიართა რაზმი გასულა, მაგრამ დოულეტის სადესაკენ დაუხევია. სალარ უდ დოულემ ლურისტანის გუბერნატორად თავისი სიმამრი ემირქამირი დანიშნა.

**რუსეთი.**

**ასტრახანი.** ერთ კვირაში ავად გახდა 95, 33 მოკვდა.

**სევასტოპოლი.** თაგვების გასაწყვეტად სასანიტარო კომისიამ დაადგინა თითო მოკლულ თაგვში ერთი შაური აძლიონ მკვლელს.

**ოდესა.** მტრედის შემდეგ უტოხკინი პირველად გაფრინდა.

**იაროსლავი.** ერთ კვირაში დიზენტერიის მაზრაში 4 კაცი გახდა ავად. 2 მოკვდა. ჭირის გაჩენის შემდეგ 13 გახდა ავად, 6 მოკვდა.

**ოდესა.** გაფიცულები სამუშაოს უბრუნდებიან, მაგრამ უადგილობისა გამო ბევრს ადარ იღებენ.

# თეატრი და ხელოვნება

**სურამი. ბენეფისი ნიკო გვარაძისა.** ამ ზაფხულს ნიკო გვარაძის რეჟისორობით ქართული წარმოდგენები იმართებოდა. საბენეფისო წარმოდგენა 7 ამ თვეს დადგმული („ნიშანი ყოფაქცევაში“) იმდენად უნაკლო იყო, რასაკვირველია, პროვინციალურ პირობების მიხედვით, რომ ყოველს მოლოდინს გადააჭარბა; ანსამბლი მწყობრი, როლების ცოდნაში თითოოროლა თუ კოჭლობდა, ისიც მეორე ხარისხოვან ალაგის მოთამაშენი. სურამის საზოგადოებამაც სამისოდ დააფასა და ჩვეულებრივ ლრიანცელსა და კისკისის ნაცვლად სიჩუმე სუფევდა დარბაზში. „ნიშანი ყოფაქცევაში“ საამდროვო პიესათაგანია, და სათამაშოდ ძნელიც. მობენეფისემ მიიღო საჩუქარი: და-ძმა შალიკაშვილებისაგან „ვეფხის ტყაოსანი“ ძვირფას ყდით და სცენის მოყვარეთაგან საათი. ხალხი მრავალი დაესწრო წმინდა მოგება დარჩა ათ თუმნამდე.

არ შეიძლება არ შევეხო ერთ მოვლენას, რომელიც ჩვეულებრივი მოვლენაა პროვინციალურ კულტურულ საზოგადოებებში და რაც ჩვენს უკულტურობას ახასიათებს. მორიგი წვერი დრამ. გამ. ი. ქ—ძე მთვრალი ასრულებდა თავის მოვალეობას, რის გამოც ერთ ასულს ხელი ჰკრა და ტლანქი სიტყვებით გაუმასპინძლდა საქმე უისტერიკოდ არ გათავდა.

**ვინმე.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს ბ. სამსონ გიორგისძე ყიფიანს, რომელმაც კელილ ინება და შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ ჯვარისის ეკლესიის სამრევლო სკოლას ქართული დაკაზმული წიგნები ცამეტი მანეთისა.

აგრეთვე მადლიბას ვუძღვნი ჟურნალ-გაზეთების კანტორის „იმერეთი“-ს გამგეს ისიდორე გრიგოლისძე კვიცარიძეს, რომელმაც შემოსწირა ამავე სკოლას „ნაკადული“ 1907 წ., 9 ც. წიგნი, 1908 წ. 5 ც., 1909 წ. 33 ც. და 1910 წ 13 ც. და თავისი გამოცემანი: კუდრიავსკი—„როგორ ცხოვრობდნენ ძველად ადამიანები“, ვარ. რუხაძის ლექსები: „ცისკარი“, ან. შუბლაძის—„სახმო წესით კითხვის სწავლება“, „სახალხო სახლი და მისი მნიშვნელობა“, „მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი და 6 მან. 10 კაპ. სხვა-და-სხვა ქართული საკითხავი წიგნები მთელი შემოწირულება არის 110 ცალი წიგნი, ღირებული 11 მან. 10 კაპ.

გამგე ჯვარისის ეკლესიის სამრევლო სკოლისა დეკანოზი **იოსებ გირგაძე.**

# გამოსადეგი ცნობა

## ტფილისის ბირჟა

18 აგვისტო.

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

**სარგებლიან ქაღალდების ფასები:**

| | |
|---|---|
| 4% სახ. რენტა | $93^3/_4$ |
| 5% გირ. ფ. ს.-აზ. სახ. ს.-მამ. ბან. | $98^7/_8$ |
| 4% „ „ „ | 91 |
| $3^1/_2$% „ „ „ | $84^7/_8$ |
| 5% გირ. ფურც. ტფ. სათ.-აზ. ბანკ. | — |
| $1^1/_2$% „ „ | $85^1/_4$ |
| 5% „ „ ქუთ. მიწ. თ.-აზ. ბანკ. | — |
| 5% ობლიგაც. ტფ. ქალაქ. საკ. საზ. | — |
| $4^1/_2$% „ „ „ | — |
| 5% I მოგებ. ბილეთ. | 470 |
| 5% II „ | 359 |
| 5% III „ | 320 |

## ტფილისის ბირჟა

**სანოვაგისა და ქირნახულის მაზანდა:**

| | |
|---|---|
| მატყლი თუშური | 7 მ. 80 კ. 8 მ. |
| ბამბა ქუთათური | — |
| აბრეშ. პარკი ქუთათ. და ადგილ. | 15-16 „ |
| ჭიათ. შავი-ქვა (ჩვეულებრივი | — |
| ჭიათ. შავი-ქვა (გარეცხილი | — |
| ყველი ქართული | 7 მ. 40 კ. 8 მ. |
| თბილი ზაქათალისა | — |
| ღვინო კახური | 8 მ. 50 კ. |
| შაქარი (თავისა | 5 მ. 25 კ. 5 მ. 30 კ. |
| შაქარი (ფხვიერი | 4 მ. 60 კ. |
| ორბალი | — |
| ქერი თეთრი | — |
| სიმინდი | — |

# განცხადებანი


გამოცდილი **მასწავლებელი** ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიის, რეალურ, სავაჭრო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე.** ყველა კლასის ჩანიისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებაცდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

სიმონოვის ქუჩა, № 28, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (თ.—1084—11)

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს. §

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ე. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. დ. მუღდანი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ამეტახანიცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერმანი:** 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან· და საბავშვო.

**ბ. გ. აგახაროვი:** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**საღამოთი:**

**ქალ.ექ. ბ. ს. ზილბერმანი:** 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**თ. ა. გევეჩკორი-ენგელი:** 6—$6^1/_2$ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. გარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** **წამლობა, კონსულტაციურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ. (1168—115)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი წიგნები:**

თხ. არჩ. ჯორჯაძისა: წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ . . . ფ. 75 კ.

„ „ „ წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა“ . . . ფ. 80 კ.

ბატონ ი-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით“ ფ. 1 მ. 20 კ.

ვ. ყიფიანისა: „სამეგრელოს მთავარი ლევან“, 4 მოქმ. დრამა . . . ფ. 40 კ.

შიუკაშვილისა: „მეგობრობა“, 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ.

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

**ძმ. ძეგველოვების**

● **მაღაზია** ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

**ახალ-ახალი**

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

გირ. უდავესკოთ 25 კაპ.

მივიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა გირვანქა 1 მან. 20 კ.-დე.

(წ—1053—)

**თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია ქუთაისში**

აცხადებს, რომ მომავალ სასწავლო წლისათვის მას დამზადებული აქვს ყოველგვარი სახელმძღვანელო, რომელიც იხმარება დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში. სასწავლებლებს, წიგნთ-საცავებსა და საზოგადო დაწესებულებებს ყველა წიგნზე დაეთმობა 10 პროც. (ყდისთვის გადაჰხდებათ ერთი შაური).

სოფლის მასწავლებლებს განსაკუთრებული დათმობა ექნებათ.

საკანცელარიო მაღაზია **ოცხელებისა** დ. და კ.

მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის გვერდით,

აცხადებს, რომ მას დამზადებული აქვს დიდძალი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი: რვეულები, დღიურები (საკუთარი გამოცემებისა), ჩანთები, საზღვარგარეთიდან მიღებული ბლანხი პურის კალმები და ფაბერის კარანდაშები, სამხატვრო ქაღალდები და საღებავები, უბის წიგნები, საუკეთესო პორტფელები, ანგარიშ. წიგნები, ბიუვარები და მრავალი სხ.

**ფასები მეტად დაკლებულია.** (10—1447—5)


სტამბა „სორაპანი“, მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.